მარტო შარშან გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ რედაქციისა (რედაქტორი თ. ჯიბლაშვილი) და კომიტეტის ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოქვეყნდა სახალხო კონტროლის 18 გვერდი, სადაც დაიბეჭდა 80-მდე წერილი, სტატია და ინფორმაცია, სათანადოდ აისახა საგეგმო დავალებების შესრულების, პროდუქციის ხარისხის, მასალებისა და ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვის, ჯანმრთელობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, მშენებლობის მდგომარეობის შემოწმებათა შედეგები. პრობლემურ, საჭირბოროტო საკითხებზე გამოქვეყნდა კომიტეტის დადგენილები, კომიტეტის თავმჯდომარის, პარტიული მუშაკების, შტატგარეშე ინსპექტორების, ჯგუფების თავმჯდომარეების, წარმოების ხელმძღვანელების, რიგითი კონტროლიორების და სხვათა წერილები, სტატიები, მასალები საკონტროლო მუშაობის გამოცდილების გაზიარების შესახებ, აგრეთვე კონტროლიორთა რეპლიკები, ფოტობრალდებები, გამოქვეყნებული მასალების რეაგირების შესახებ პასუხები და სხვ. გაზეთ „სოციალისტური რუსთავის“ სახალხო კონტროლის ფურცლების მასალები საინტერესოდ აცნობენ მკითხველებს კონტროლის ორგანოების მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად განხორციელებულ ღონისძიებებს.

სახალხო კონტროლის ფურცლებში სისტემატურად იბეჭდება ჩანახატები მოწინავე კონტროლიორებზე, ფელეტონები, კრიტიკული წერილები გამოვლენილ ნაკლოვანებებზე. აღსანიშნავია, რომ სახალხო კონტროლის გვერდებში შემოღებულია რუბრიკები „იცნობდეთ კონტროლიორია“, „ჩვენი საპატიო დაფა“, „კონტროლიორთა შენიშვნები“, „ვუბრუნებით დაბეჭდილს“, „გამოცდილება“, „სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში“, „ჩვენი კონსულტაცია“, „წესრიგი ყველგან და ყველაფერში“, „საწარმოო რეზერვები ყურადღების ცენტრში“ და სხვ. ამ რუბრიკებით ქვეყნდება საკონტროლო მუშაობის ამსახველი მრავალფეროვანი მასალები. გაზეთმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სახალხო კონტროლის შესახებ კანონის დებულებათა ფართო საჯაროობის საქმეს. სახალხო კონტროლის ფურცლებზე აგრეთვე გამოქვეყნდა სტატიები კონტროლიორთა სწავლებისა და დოსტატების საკითხებზე.

სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის ფართო საჯაროობის მიზნით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია რუსთავის ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქციამაც (რედაქტორი ს. ახვლედიანი). რადიოგადაცემებში გამოქვეყნდა კომიტეტის, ჯგუფების მიერ მოწყობილი შემოწმებათა შედეგები, კონტროლიორთა საუბრები, კრიტიკული მასალები, ნარკვევები, ჩანახატები მოწინავე კონტროლიორებზე. აღსანიშნავია, რომ თითოეულ გადაცემაში, რომლის ხანგრძლივობა 15 წუთია, რუბრიკით „სახალხო კონტროლის კუთხე“, 5-6 წუთი სახალხო კონტროლის ორგანოების მასალების გადაცემას ეთმობოდა. ერთი სიტყვით, ქალაქ რუსთავის რადიოგადაცემათა რედაქციამაც კარგად იმუშავა და უზრუნველყო სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის ამსახველი 40-მდე მასალის გადაცემა.

კომიტეტის ღონისძიებების შედეგად სახალხო კონტროლის ძირეულმა რგოლებმა საკონტროლო მუშაობის საჯაროობის საქმეში სათანადო გამოცდილება შეიძინეს. ამ ნაკლოვანებებზე მოისმინეს 200 თანამდებობის პირის ახსნა-განმარტება, 207 თანამდებობის პირი გამოუცხადეს სახზგადოებრივი გაკიცხვა, ჯგუფების მიერ მოწყობილი შემოწმების მასალების საფუძველზე საწარმოთა ადმინისტრაციამ 179 პირს დაადო სასჯელი. გაწეული მუშაობის შესახებ შრომელთა კოლექტივების წინაშე ინფორმაცია გააკეთა 12 ჯგუფის თავმჯდომარემ, მათ მოახსენეს 180 დავალების შედეგ.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ქალაქ რუსთავის სახალხო კონტროლის ორგანოებს, რომლებიც სათანადოდ იყენებენ საზოგადოებრივი ზემოქმედებისა და კონტროლის საჯაროობის მრავალფეროვან საშუალებებს, ამ საქმეში ჯერ კიდევ აქვთ სერიოზული ხარვეზები.

ზოგიერთმა სახალხო კონტროლის საწარმოო კომიტეტებმა ეფუზრუნველყო ყოველთვიურად სახალხო კონტროლის ფურცლების გამოშვება. მცირეა რიგითი სახალხო კონტროლიორების წერილები, მასალები პრინციპულ, კომკაგმიურ ორგანიზაციათა ერთობლივი მუშაობის შესახებ. ზოგიერთი სახალხო კონტროლის ჯგუფის სტენდებზე ბევრ ადგილას ძველ მასალებს ჯერ კიდევ გვხვდება უმისამართო ფოტობრალდებები, ზოგიერთი მასალა ვერ ასახავს კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის კონკრეტულ შედეგებს.

ცხადია, ამ ნაკლოვანებებს ამთავითვე უნდა მოეცეს ყურადღება. საჭიროა რუსთავის სახალხო კონტროლის ორგანოებმა სრულყონ ნაკლოვანებებთან ბრძოლის საჯაროობის მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები, უფრო ქმედითი დახმარება გაუწიონ პარტიულ ორგანიზაციებს, შრომითა კოლექტივებს საზოგადოებრივი ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებლად. სკკპ XXVI ყრილობისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ჯ. ახვლედიანი,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

ესეც მოჭირნეობაა?

ფხიზელ თვალს არ გამოეპარა

ცხაკაია. (საკ. კორ.). სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა თავის სხდომაზე განიხილა საკითხი ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენებისა და ყაირათიანი ხარჯვის თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებების შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ.

როგორც გამოირკვა, განხორციელებული ეფექტიანი ღონის

ბანკის მუშაკთა ამოცანები

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ფულადი მიმოქცევის გაჯანსაღებისა, დაკრედიტების, დაფინანსების, ანგარიშსწორებისა და ბანკის სხვა ოპერაციების სრულყოფის ამოცანების განიხილეს საქართველოს სსრ სპეციალიზებულ საქალაქო ბანკებში. ბანკების მუშაკთა აქტივის რესპუბლიკურ კრებაზე, რომელიც თბილისში გაიმართა.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველმა ვ. ა. პატეიშვილმა.

კრებაზე გამოვიდნენ სახბანკის ბანკოთა და აჭარის რესპუბლიკური კანტორების, სახბანკის ფილიალების რიგი სხვა დაწესებულებების მუშაკები.

კრების მონაწილეებმა დაამტკიცეს სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის კოლეგიების 1981-1985 წლების გეგმა, მიიღეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის გადადებული სოციალისტური ვალდებულებანი.

აქტივის კრებაზე გამოვიდა სსრ კავშირის სახბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პ. ი. პჩელინი.

განხილულ საკითხზე მიღებული დადგენილება.

კრებას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ვარძელაშვილი. (საქინფორმი).

● ●

დიდი მოვალეობა

გაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული აქტივის კრება, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმ საანგარიშო მოხსენების მითითებათა შესაბამისად, რომელიც ლეონიდ ილიჩ ძე ბრეჟნევმა გააკეთა.

აღინიშნა, რომ მეათე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში უფრო თანამიმდევრულად მიმდინარეობდა მუშაობა კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებლად. შინაგან საქმეთა ორგანოებმა და მათმა პარტიულმა კომიტეტებმა, ასრულებდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდამცველთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“, 1979-1980 წლებში მიაღწიეს დამნაშავეობის დონის შემცირებას. ოპერატიული ვითარების გაჯანსაღება იგრძნობა რესპუბლიკაში 1981 წლის პირველი სამი თვის განმავლობაშიც.

ამავე დროს ზოგიერთ რეგიონში მდგომარეობა ჯერ კიდევ ვერ არის დამაკმაყოფილებელი. აშკარად შესუსტდა მილიციის საქმიანობა დანაშაულობათა აღკვეთა-გახსნაში ახალციხის, სიღნაღის, ამბროლაურის, მახარაძისა და ცაგერის რაიონებში. ვერ უზრუნველყოფენ ჯეროვან საზოგადოებრივ წესრიგს თბილისის ორჯონიკიძისა და ოქტომბრის, გურჯაანის, ქარელის, ყვარლის, ონჩამჩირის და მილიციის მთელი რიგი სხვა რაიონული განყოფილებების მუშაკები.

კრებაზე გამოსულმა კომუნისტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა მთავარი ამოცანა შეიმუშაონ და კომპლექსურად გადაწყვიტონ კონკრეტული პროგრამა, თუ როგორ უზრუნველყონ საზოგადოებრივი წესრიგი სამინისტროს ყველა სამსახურისა და ქვედანაყოფის გაერთიანებული მეცადინეობით, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმიელების მონაწილეობით.

პარტიული აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. ბეტაძემ.

კრებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. სალაია, საქართველოს სსრ პროკურორი ა. ბარბაძე.

(საქინფორმი).

● ●

ახალი მილეულებისათვის

საქართველოს სსრ დოსაფის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული კლენუმი

გაიმართა რესპუბლიკის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელი ნებაყოფლობითი საზოგადოების — დოსაფის ცენტრალური კომიტეტის მეცხრე გაფართოებული პლენუმი. მოხსენება „სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შედეგები და რესპუბლიკის დოსაფის ორგანიზაციის ამოცანები“ გააკეთა საქართველოს სსრ დოსაფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა, გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ნ. ბანჯოლავამ.

მოხსენებასა და პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში გააანალიზეს თავდაცვითი საზოგადოების რესპუბლიკური ორგანიზაციის საქმიანობა, გამოავლინეს რესპუბლიკის დოსაფის ორგანიზაციის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების, სამხედრო-პატრიოტული პროპაგანდის, სასწავლო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესების, შეიარაღებული ძალებისათვის სპეციალისტთა მომზადების და სახალხო მეურნეობისათვის მასობრივ ტექნიკურ პროფესიათა კადრების მომზადების ხარისხის ამაღლების რეზერვები. (საქინფორმი).

მტკიცე ერთიანობა

დამთავრდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის X ყრილობა

ბერლინი. ექვსი დღის ნაყოფიერი მუშობის შემდეგ აქ დამთავრდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის X ყრილობა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცხოვრებაში, ყრილობამ ცხადყო პარტიისა და ხალხის მტკიცე ერთიანობა, დაადასტურა, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია მარქსიზმ-ლენინიზმის იდეიებს, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს ერთგულია.

დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, პარტიის სტრატეგია და ტაქტიკა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა კავშირთან, სხვა მოძმე პარტიებთან და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების კურსი. დამტკიცებულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის X ყრილობის დირექტივები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1981-1985 წლებს ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ დირექტივებს გამოიტანენ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, რომელთა შედეგები საფუძვლად დაედება ახალ ხუთწლიან გეგმას.

ყრილობამ მიიღო განცხადება, რომელშიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით ძმური სოლიდარობის უცხადეს ყველა კომუნისტს, ყველა რევოლუციონერსა და პატიოსან სოციალისტურ საზოგადოებას. ჩვენ შევასრულებთ იმათ ანდერძს, ვინც პირველი დღეებიდანვე იბრძოლა ჩვენი დიადი საქმისათვის. ყველაფერს ვიღონებთ, რათა ჩვენი ხალხის ცხოვრება კიდევ უფრო უკეთესი, კიდევ უფრო მშვენიერი გახდეს.

ჩვენს წინაშე, განაგრძო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ძნელი ამოცანები დგას, მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ მათ წარმატებით შევასრულებთ. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის X ყრილობის სამზადისმა და ყრილობაზე გამართულმა დისკუსიამ კიდევ ერთხელ დაადასტურეს: ჩვენი შემდგომი წინსვლის საწინდარია პარტიის კოლექტიური გამოცდილება და ძალა, ხალხის მასების სრული ნდობა მისი პოლიტიკისადმი, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ყრილობა დახურულად გამოაცხადა. დარბაზში ეღერს „ინტერნაციონალი“.

ერნს ტელმანის დაბადების 95-ე წლისთავზე, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის X ყრილობაზე წარგზავნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი ეწვია გერმანელი პროლეტარიატის ბელადის ბერლინის მემორიალურ მუზეუმს, გაეცნო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ გამოფენას.

ესპანეთი

კაბინეტის სხდომა

მადრიდი. აქ ესპანეთის მთავრობის მეთაურის ლ. კალვო სოტელოს თავმჯდომარეობით გაიმართა კაბინეტის საგანგებო სხდომა. სხდომაზე განიხილეს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, რომელიც გამწვავდა ტეროროისტთა ახალ დანაშაულობათა გამო. ამ დღეებში ექსტრემისტებმა ბასკეთის პროვინციებში მოაწყვეს ხუთი ტეროროისტული აქტი, რომელთა შედეგად მოკლულია სამი კაცი.

სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი ტეროროზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სალვადორი

პარტიზანებ უტევენ

სან-ხოსე. სალვადორის დედაქალაქიდან იუწყებიან, რომ ფარაბუნდო მარტის სახელობის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ერთ-ერთმა რაზმმა იერიში მიიტანა სამხედრო გარნიზონზე, რომელიც სან-სალვადორიდან ჩრდილოეთით 70 კილომეტრზე მდებარე დასახლებულ პუნქტ სანსერარში იყო დაბანაკებული. პარტიზანებმა ალყაში მოიქცეს აგრეთვე ჯარის ქვეგანაყოფი მორასანის დეპარტამენტის დაბა კერკინში.

სალვადორის შეიარაღებული ძალების სარდლობამ აღიარა, რომ ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მებრძოლებმა ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით დაანგრიეს გზების უმრავლესობა ქვეყნის ჩრდილოეთ ზონაში, რათა ხუნტას გაუძნელონ ჯარების გადაყვანა.

შეიარაღებული შეტაკებები გრძელდება სან-მიგელისა და უსულუტანის დეპარტამენტებში.

მოლაპარაკება დელში

დელი. აქ გრძელდება ინდოეთის მთავრობის მეთაურის ინდირა განდისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრის მ. ტეტჩერის მოლაპარაკება, რომელიც ინდოეთში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება. მოლაპარაკების დროს, იუწყებიან ინდოეთის საინფორმაციო საგენტოები, მხარეებმა განიხილეს ავღანეთის გამო შექმნილი სიტუაცია, ამერიკას შეერთებული შტატების გადაწყვეტილება პაკისტანს მიაწოდოს იარაღის დიდი პარტიები და ამერიკის „სწრაფი რეაგირების ძალების“ შექმნის პრობლემა.

ინდოეთის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მხარეები პრაქტიკულად ვერ შეთანხმდნენ ვერც ერთი განხილული საკითხის გამო. „ტიიმს ოფ ინდია“ ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ეხება ი. განდის განცხადებას იმის შესახებ, რომ არსებობს „აზრთა დიდი სხვაობა“ ინდოეთსა და ინგლისს შორის საერთაშორისო პრობლემების შეფასების საკითხში.

საქართველოს სსრ ტელევიზია

საერთაშორისო დელდაშვილის ზეურბეჭე ცხოვრება

17 აპრილი

ვითარება ლიბანში

შეტაკებები გრძელდება

ბეირუთი. ლიბანში დაძაბულობის საერთო შენელების მიუხედავად, ქვეყნის დედაქალაქში, ქალაქ ზაპლესა და მთელ რიგ სხვა რაიონებში დროდადრო ხდება შეტაკებები არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და სხვა სახეობათა იარაღის გამოყენებით. მემარჯვენე ქრისტიანული პარტიის კატაიბის სამხედრო ქვეგანაყოფებმა ცეცხლი დაუშინეს ლიბანში მშვიდობის დამცველი არაბული ქვეყნების ძალთა პოზიციებს ბეირუთის „შიაჰის, ტაიიუნის და ეროვნული მუზეუმის რაიონებში და აიძულეს ისინი მიემართათ საპასუხო მოქმედებისათვის.

ზაპლეში კვლავ მოქმედებენ სნაიპერები, რომლებიც ცეცხლს უშენენ არაბული ქვეყნების ძალთა სამხედრო მოსამსახურეებსა და მშვიდობიან მცხოვრებლებს, რათა პროვოკაციულად გამოიწვიონ ქალაქში და მის გარეუბნებში ვითარების ახალი გამწვავება. აროან დაჭრილები.

მემარჯვენე ქრისტიანულ ძალებთან ერთად მოქმედებს ისრაელის მხედრიონი, ისრაელის ჯარების არტილერიითა და ნაღმსატყორცნებით გამაგრებული ქვეგანაყოფი 15 აპრილს არკუნის რაიონის სოფელ კფარ-შუბაში შეიჭრა და ფაქტობრივად დაიკავა იგი.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

რასისტთა თარეში

მაპუტუ. ძალადობისა და მკვლელობის ახალი ტალღა მოედო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას. ჯერ იყო, და მეშახტეთა დაბა პენგეში თავგასულმა თეთრკანიანმა არამზადებმა ცეცხლი დაუშინეს გაფიცულ აფრიკელ მაღაროელებს. მოკლეს ორი და მძიმედ დაჭრეს ექვსი მუშა, მერე კი რასისტებმა პრეტორიაში დახვრიტეს ავტოსაამწყობო საწარმოების მუშათა დემონსტრაციის მონაწილენი. ერთი გაფიცული მოკლულია, რამდენიმე კაცი დაიჭრა.

პოლიციელებმა მხარი დაუჭირეს გამხეცებული რასისტების მოქმედებას. დემონსტრანტთა წინააღმდეგ იხმარეს ცრემლსადენი გაზი, ბევრი დემონსტრანტი დაპატიმრეს.

უკვე ერთ კვირაზე მეტია გრძელდება გაფიცვები იმ საწარმოებში, რომლებიც ინგლისისა და ამერიკის კაპიტალს ეკუთვნის. მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას, რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციას, შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ტუნისი:

ახალი დანიშვნები

ტუნისი. ტუნისის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ბეჯი კაიდ ეს-სებსი, რომელსაც წინათ ეკავა პრემიერ-მინისტრის დელეგატი-მინისტრის პოსტი.

ქვეყნის პრეზიდენტმა, დუსტურის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარემ ჰ. ბურგიბამ მოაწყო აგრეთვე გადაადგილებანი პარტიის პოლიტბიუროში, რომლის ახალ შემადგენლობაში შევიდა 21 კაცი, ეს ცვლილებები მოეწყო დუსტურის სოციალისტური პარტიის ამასწინანდელი საგანგებო ყრილობის შემდეგ.

ეგვიპტე

ბრძოლა ფაფუჭის ბუნებრივ ბალახებთან

ბანგკოკი. ეგვიპტეს ოფიციალურ პირებთან მოლაპარაკებებისთვის, როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ბეიკერის მისია ხორციელდება „პალესტინის ავტონომიის“ შესახებ ეგვიპტე-ისრაელის მოლაპარაკებაში მრავალი თვის შეფერხების დაძლევისათვის არსებულ შესაძლებლობათა ზონდაჟის ფარგლებში, რომელსაც ამერიკის ადმინისტრაცია ახორციელებს.

გუინეოს-აირესი

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯან ვენინი, რომელიც სანტიაგოში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება, შეხვდა ჩილეს ფაშისტური ხუნტის მეთაურს პინოჩეტს. პინოჩეტი სტუმრის თქმით, მოლაპარაკება „მეგობრულ და გულითად ვითარებაში“ მიმდინარეობდა.

ტოკიო

„უკან არ დავიხევთ მთავრობის მუქარის წინაშე, ბოლომდე ვიბრძოლებთ სარჩლებო უფლებებისათვის!“ — ტოკიოში ასეთი ლოზუნგით გაიმართა იაპონიის დედაქალაქის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც გაიმართა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მთავრობის განცხადება, რომელშიც იმუქრებოდა „მკაცრად დაიჯეზიან“ ხალხმრავნო დაწესებულებათა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურენი, თუ გაფიცვას მოაწყობენ თავიანთი მოთხოვნების მხარდასაჭერად.

ბონი

აცხადებენ პროტესტს

დასავლეთ გერმანიის დედაქალაქში გაიმართა ომის საწინააღმდეგო მანიფესტაცია (ხუთათზე), რომლის მონაწილეებმაც გადაჭრით გაილაშქრეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ. მანიფესტაცია გაიმართა მშვიდობის, თანამშრომლობისა და განიარაღების კომიტეტის, გერმანელთა მშვიდობის კავშირის და გერმანელთა კომუნისტური პარტიის მოწოდებით.

საკადრ-საკინფორმის ტელეფოტო.

ფოტოობიექტივი ამხილებს

მხოლოდ ფაქტები

ტელეტაიპის ლენტიდან

● კაირო

აქ ჩამოვიდა ამერიკის მაღალი თანამდებობის პირთა დელეგაცია ამერიკის შეერთებული შტატების სენატში რესპუბლიკური უმრავლესობის ლიდერის, სენატორ ჯ. ბეიკერის მეთაურობით (ეგვიპტის ოფიციალურ პირებთან მოლაპარაკებისათვის. როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ბეიკერის მისია ხორციელდება „პალესტინის ავტონომიის“ შესახებ ეგვიპტე-ისრაელის მოლაპარაკებაში მრავალი თვის შეფერხების დაძლევისათვის არსებულ შესაძლებლობათა ზონდაჟის ფარგლებში, რომელსაც ამერიკის ადმინისტრაცია ახორციელებს.

● გუინეოს-აირესი

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯან ვენინი, რომელიც სანტიაგოში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება, შეხვდა ჩილეს ფაშისტური ხუნტის მეთაურს პინოჩეტს. პინოჩეტი სტუმრის თქმით, მოლაპარაკება „მეგობრულ და გულითად ვითარებაში“ მიმდინარეობდა.

● ტოკიო

„უკან არ დავიხევთ მთავრობის მუქარის წინაშე, ბოლომდე ვიბრძოლებთ სარჩლებო უფლებებისათვის!“ — ტოკიოში ასეთი ლოზუნგით გაიმართა იაპონიის დედაქალაქის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც გაიმართა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მთავრობის განცხადება, რომელშიც იმუქრებოდა „მკაცრად დაიჯეზიან“ ხალხმრავნო დაწესებულებათა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურენი, თუ გაფიცვას მოაწყობენ თავიანთი მოთხოვნების მხარდასაჭერად.

საერთაშორისო მიმოხილვა

საფრანგეთი:

ვინ იქნება პრეზიდენტი?

საფრანგეთს დაძაბული პოლიტიკური ბრძოლის პერიოდი დაუდგა: 10 აპრილს ოფიციალურად დაიწყო პრეზიდენტის არჩევნებისწინა კამპანია.

კენჭისყრის პირველი ტური 26 აპრილს არის დანიშნული. თუ ამ დღეს ვერც ერთი კანდიდატი ვერ შეაგროვებს ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას, ესე იგი 50 პროცენტზე მეტს, ამომრჩევლები საარჩევნო ყუთებს 10 მაისს დაუბრუნდებიან. მეორე ტურში კენჭს იყრის მხოლოდ ორი კანდიდატი, რომლებიც 26 აპრილს ყველაზე მეტ ხმას მიიღებენ. საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში პრეზიდენტი არც ერთხელ არ აურჩევიათ პირველივე ტურში და ახლა პოლიტიკური მიმომხილველები ერთსულოვნად წინასწარმეტყველებენ, რომ სახელმწიფოს ახალი მეთაურის სახელი მხოლოდ მაისის მეორე დეკადაში გაირკვევა.

ბოლო თვეებში პრეზიდენტის პოსტზე დასახელებული რამდენიმე ათეული პრეზიდენტიდან 26 აპრილის კენჭისყრაში მონაწილეობისათვის საკონსტიტუციო სასჯიმ სიაში დატოვა მხოლოდ ათი ოფიციალური კანდიდატი. ამისათვის საფრანგეთში მოქმედებს სპეციალური შეზღუდვა: არჩევნებზე დაიშვებიან მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებსაც წინასწარ მხარს დაუჭერს სულ ცოტა 500 ოფიციალური პირი, ისინი, ვისაც არჩევითი პოსტი უკავია (პარლამენტარები, ქალაქის მერები, სადეპარტამენტო საბჭოების წევრები და ა. შ.). და რომლებიც 10 ათას ფრანკ სპეციალურ საწინდარს შეიტანენ.

პრეზიდენტის არჩევნები საფრანგეთში ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ ეწყობა და ყოველთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში, ვიდრე, ეთქვათ, პარლამენტის შემადგენლობის განახლება. ეს უწინარესად მეხუთე რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურით აიხსნება, სადაც პრეზიდენტს ძალიან ფართო უფლებამოსილებანი აქვს მინიჭებული. იგი თავმჯდომარეობს მთავრობას, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, წარმომადგენლობს საფრანგეთს საგარეო ურთიერთობაში, გადაადგენს და ნიშნავს მინისტრებს (პრემიერ-მინისტრის ჩათვლით) და უმაღლესი რანგის თანამდებობის პირებს. ერთი სიტყვით, პრეზიდენტი პრაქტიკულად ეროვნული პოლიტიკის ყველა მხარეს ხელმძღვანელობს.

დღეევანდელ საფრანგეთში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება მკვეთრად განსხვავდება შვიდი წლის წინანდელი მდგომარეობისაგან. იმქამად შექმნილი მთავრობის კოალიცია ფაქტობრივად ორ ბანაკად გაითიშა და თითოეული მათგანი მხარს უჭერს სხვადასხვა, ერთმანეთის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლ პრეტენდენტებს. არ არის ერთიანობა ოპოზიციის შიგნითაც, მაშინ როცა წინა არჩევნებში მისმა მთავარმა ძალებმა — კომუნისტებმა და სოციალისტებმა — ერთი კანდიდატი წამოაყენეს.

არჩევნებისწინა კამპანია მიმდინარეობს გაჭიანურებული კრიზისის პირობებში, რომელმაც შეარყია საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები. იკვეცება მრეწველობის მთელი რიგი დარგები, იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგარეო ვაჭრობის ბალანსი. ცხოვრება ძვირდება უკვე ყოველდღიურ მოვლენად იქცა. ინფლაციამ წელიწადში 12 პროცენტს მიაღწია.

1974 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა უმუშევართა რიცხვი, განსაკუთრებით ქალთა და ახალგაზრდობას შორის. როგორც საფრანგეთის სახელმწიფო ტელევიზიამ აღიარა, დასაქმების თემამ ისეთ პირობებში, როცა ქვეყანაში, ოფიციალური მონაცემებით 1,7 მილიონამდე უმუშევარია, ყველა სხვა თემა დაჩრდილა და ახლანდელი საარჩევნო კამპანიაში ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა.

თუმცა სიაში, რომელსაც 26 აპრილს ამომრჩევლთა სამსჯავროზე გამოიტანენ, ათი კანდიდატია შეტანილი, საფრანგეთში არავისთვის არ წარმოადგენს, საოდუმლოებას, რომ სერიოზული ბრძოლა პრეზიდენტის პოსტისათვის მხოლოდ ოთხ კანდიდატს შორის გაიმართება. ესენია ვ. ჟისკარ დესტენი, რომელსაც შვიდი წლის პრეზიდენტობის უპირატესობა აქვს, პარიზის მერი ჟ. შირაკი — მთავრობის კოალიციაში შემავალი რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანების ლიდერი, კანდიდატი სოციალისტური პარტიისაგან ფ. მიტერანი და საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ჟ. მარშე.

ფორმალურად ვ. ჟისკარ დესტენი არც ერთი პოლიტიკური პარტიის კანდიდატი არ არის. თუმცა საფრანგეთში საყოველთაოდ ცნობილია, რომ მის საარჩევნო კამპანიას აწყობს შტაბი, რომელიც მთავრობის კოალიციაში შემავალი საფრანგეთის დემოკრატიისათვის კავშირის მოღვაწეებისაგან შედგება, კავშირის ნაწილს წარმომადგენს აგრეთვე დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა პარტიაც, რომლის ლიდერი 1974 წლამდე ახლანდელი პრეზიდენტი იყო.

პრეზიდენტის პოსტზე შვიდი წლის ყოფნა, ცხადია, ვ. ჟისკარ დესტენს დამატებითს უპირატესობას აძლევს სხვა კანდიდატებთან შედარებით, მაგრამ ამავე დროს კრიტიკის მთავარი ცეცხლიც მისკენ არის მიმართული. პოლიტიკური მოწინააღმდეგენიც და პრესაც მკვახე სიტყვებს არ იშურებენ და სწორედ მას აკისრებენ მთელ პასუხისმგებლობას ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური სიძნელეებისათვის;

ჟ. შირაკი ცდილობს არჩევნებისწინა განცხადებებში გაეძიოს მთავრობის პოლიტიკას, რომელსაც აკრიტიკებენ, მაგრამ ეს არც ისე იოლია, ვინაიდან მისი პარტია მთელი ამ ხნის განმავლობაში მმართველ კოალიციაში შედიოდა და, მაშასადამე, მისი საქმიანობისათვის ისევე აგებს პასუხს. ჟ. შირაკის მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ მასთან ერთად რესპუბლიკის მხარდაჭერის გაერთიანებიდან სხვა გამოჩენილმა მოღვაწეებმაც წამოაყენეს თავიანთი კანდიდატურები. მათ შორის ისეთმა ავტორიტეტულმა პირმა, როგორიც შ. დებრეა — მთავრობის ყოფილი მეთაური პრეზიდენტ დე გოლის დროს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ცხადყო, რომ პრეზიდენტის თანაბრად პოპულარულია ფ. მიტერანი. მას იმათი ხმების იმედი აქვს, ვინც ტრადიციულად მხარს უჭერს სოციალისტებს, აგრეთვე იმათი, ვინც უკმაყოფილოა ქვეყანაში არსებული ახლანდელი ვითარებით, მაგრამ არა აქვს გამოკვეთილი საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები.

რაც შეეხება ჟ. მარშეს, მან წამოაყენა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ სიძნელეებთან, უმუშევრობასთან, ინფლაციასთან ბრძოლას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. პრეზიდენტის პოსტის ყველა პრეტენდენტთაგან, განაცხადა მან ტელევიზიით არჩევნებისწინა გამოსვლისას, მხოლოდ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის კანდიდატი სთავაზობს ხალხს კრიზისის დაძლევის მკაფიო პროგრამას და მხარს უჭერს ისეთი მთავრობის შექმნას, რომელშიც კომუნისტები და სოციალისტები შევიდოდნენ. მშრომელებს დღეს, ისევე როგორც გუშინ, შეუძლიათ კომუნისტების იმედი ჰქონდეთ, რომლებიც მზად არიან დაიცვან მშრომელი ხალხის ინტერესები.

საერთაშორისო ურთიერთობაში კომპარტიის კანდიდატი იბრძვის საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, საფრანგეთის მიერ აქტიური საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომლის მიზანია მშვიდობის განმტკიცება, განიარაღება, ხალხებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება. (საკადესი“.

ბინძური ნაყალბევი

ქურ-ზაური ომის გამო

ნიუ-იორკი. ამ ცოტა ხნის წინათ, როცა საბჭოთა კავშირს საჯაროდ სწამებდა სტანდარტულ ბრალდებას, თითქოს იგი „საერთაშორისო ტეროროზმთან“ არის დაკავშირებული, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ა. ჰეიგი ხელში ატარებდა იმ წიგნის სასიგნალო ეგზემპლარს, რომელშიც, როგორც იგი ამტკიცებდა, ყველაფერია ამის შესახებ ნათქვამი“.

და აი, წიგნი გამოუშვეს ნიუიორკის გამომცემლობებმა „ჰოლტ, რაინგარტ ენდ უინსტონმა“ და „რიდერს დაიჯესტ პრესმა“. მისი სახელწოდებაა „ტეროროს ქსელი. საერთაშორისო ტეროროზმის ფარული ომი“. ავტორია ამერიკელი ჟურნალისტი ქალი ჯ. სტერლინგი.

მაინც, რა არის ისეთი მას ახალ ოპუსში, რამაც ა. ჰეიგის ყურადღება მიიპყრო? როგორც მოსალოდნელი იყო, მასში არავითარი „აღმოჩენები“ არ გახლავთ. სტერლინგი აღწერს იტალიის უბადრუკი „წითელი ბრიგადებისა“ და ზოგიერთი სხვა ჯგუფის ტეროროისტულ აქციებს, რომლებსაც ფართოდ აშუქებდა მსოფლიო პრესა.

წიგნში ტეროროისტებთან არიან გაგიგებულნი ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების დიქტატორული, ანტისახალხო რეჟიმების წინააღმდეგ მებრძოლნი, ჩრდილოეთ ირლანდიაში მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლები, პალესტინელი პატრიოტები. ავტორი წერს, რომ მათ „ზურგს უმაგრებს მოსკოვი“, რომელიც, ვითომდა, კუბის, ლიბიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სამსახურით სარგებლობს და სულ უფრო „აღვივებს საერთაშორისო ტეროროზმს“.

მკითხველი ამაოდ დაუწყებს ძებნას ამ ყალბი მტკიცებების დამადასტურებელ საბუთებს. ისინი წიგნში არ არის და ვერც იქნებოდა. საქმე იხება ნაყალბევს, ბინძურ მონაჭორს, რომელიც იმათ საამებლად შეთითხნეს, ვინც „საერთაშორისო ტეროროზმთან“ ბრძოლის შირმით ეწევა კონტრევოლუციის ექსპორტს ჩვენი პლანეტის იმ რაიონებში, სადაც ფართოდდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, იმათ საამებლად, ვინც გამოუცხადებელ ომს აწარმოებს ავღანეთის წინააღმდეგ და იარაღს აწვდის ავღანელ ტეროროისტებს, ვინც მხარს უჭერს უნიტას ანტიანგოლურ ტეროროისტულ დაჯგუფებას და იარაღით ამარაგებს სალვადორის პირსისხლიან ხუნტას.

აშკარაა, რომ ჰეიგს სჭირდებოდა სწორედ ასეთი ნაყალბევი, რომელიც იმ მომენტში გამოჩნდა, როცა ამერიკის ადმინისტრაცია გაფაციცებით ეძებს რაიმე თავდასაცვრენს, რათა გაამართლოს საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში ვაშინგტონის ეს და სხვა დანაშაულებრივი აქციები. არც ის არის გამორიცხული, რომ ნაყალბევი მისი პირდაპირი მითითებით იყო შეთითხნილი.

ყურადღებას იპყრობს ისიც, თუ რა თავგამოდებით ჩაება ანტისაბჭოური ნაყალბევის პროპაგანდაში ჯ. სტერლინგი. გაზეთმა „ნიუიორკ ტაიმსმა“ საკვირაო დანართში გამოაქვეყნა ამ წიგნის მოზრდილი ნაწყვეტები. სატელევიზიო კომპანია ეი-ბი-სიმ აჩვენა გადაცემა, რომელშიც გაიმეორა წიგნის „თეზისები“ და „დასკვნები“. მის გამოშვებას თავს ახვევენ დასავლეთის სხვა ქვეყნების გამომცემლობებს.

ვაშინგტონს არაერთგზის აუტეხია აურზაური რაღაც „კრემლის ხრიკების“ გამო და ყოველთვის პირში ჩალაგამოვლებული დარჩენილა.

საქდესისა და ახალი ამბების საქაგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

კრესა ადასტურებს

სრული მარცხი

სან-ფრანცისკო. ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ა. ჰეიგის ამასწინანდელი ვიზიტი სრული მარცხით დამთავრდა, წერს კალიფორნიის გაზეთი „სან-ხოსე მერკური“. სარედაქციო სტატიაში გაზეთი აღნიშნავს, რომ მიუხედავად საგარეო-პოლიტიკური უწყების მ

მილვწიან, მოამიგონებენ

ლიტერატურის ამაგდარი

ასი წელი შესრულდა ცნობილი მწერლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის არისტო ჭუმბაძის დაბადებიდან. იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1905 წლის რევოლუციის შემდეგ და მკითხველს ყურადღება მიიპყრო სტატიებით, ლექსებით, მინიატურებით, მოთხრობებით.

არისტო ჭუმბაძე დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ კლდეეთში მასწავლებლის ოჯახში. ჯერ სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სემინარიაში, რომელიც 1904 წელს დაამთავრა.

25 წლის ჭაბუკი უკვე კარგად ფლობდა ფრანგულსა და რუსულს, ორიგინალებში კითხულობდა ფრანგი და რუსი მწერლების ნაწარმოებებს. დიდი სურვილი ჰქონდა საფრანგეთში გაეგრძელებინა სწავლა. ჭაბუკმა თავისი მეგობრების, ყუნინარეანის კიტა აბაშიძის დახმარებით მოახერხა 1905 წლის აგვისტოში საფრანგეთში გამგზავრება. 1907 წლამდე იგი სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტთან არსებულ მოსამზადებელ კურსებზე. შემდეგ შევიდა სორბონის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე და წარჩინებით დაამთავრა სამ წელიწადში.

1911 წელს არისტო ჭუმბაძე ჩამოდის საქართველოში და ქუთაისში აარსებს გაზეთ „კოლხიდას". მალე კიტა აბაშიძის თხოვნით გადმოდის თბილისში და 1914 წლამდე რედაქტორობს „სახალხო ფურცელს". იმავე წელს მიდის პარიზში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ფლობერის ცხოვრება და შემოქმედება". ომის გამო იძულებული ხდება წავიდეს ალჟირში, სადაც 1915 წლის ბოლომდე მსახურობს საფრანგეთის უმაღლესი კომისრის ჟიუსერანის სამმართველოში. წლის ბოლოს ჟიუსერანს ნიშნავენ საფრანგეთის ელჩად იაპონიაში. მას თან მიჰყავს არისტოტ. ხუთი თვის შემდეგ კვლავ პარიზში ბრუნდება და ენან ჟორესის „ლუმანიტეს" კორესპონდენტი ხდება, ბეჭდავს წერილებს საქართველოს ცხოვრებაზე „პატუას" ფსევდონიმით. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ა. ჭუმბაძე ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს გაზეთ „სახალხო ფურცლის" რედაქციაში. შემდეგ არისტო საქართველოს წარმომადგენელია სკანდინავიის ქვეყნებში (დანია, შვეიცია, ნორვეგია), სადაც მუშაობდა 1920 წლის ბოლომდე.

1938 წელს არისტო ჭუმბაძე დაინიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად, იმავე წლიდან 1960 წლამდე მუშაობდა გაზეთ „კომუნისტსა" და საქდესში სტილისტ-მთარგმნელად.

1925 წელს გამოვიდა ა. ჭუმბაძის მოთხრობების პირველი წიგნი „იდუმალი ძალა". მასში შევიდა „ტყუპთა სავანე", „იდუმალი ძალა", „ქალი", „ქალი იოდა" და „მთის ასული". ამ მოთხრობებს და განსაკუთრებით „მთის ასულს" მაღალი შეფასება მისცა კიტა აბაშიძემ.

1931 წელს გამოვიდა ა. ჭუმბაძის მოთხრობების მეორე წიგნი „ხუთი ქიმი", 1937 წელს — მესამე წიგნი. მოგვიანებით, 1960 წელს კი მოთხრობების მეოთხე წიგნი.

ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან ა. ჭუმბაძე წარმატებით თარგმნიდა ფრანგული და რუსული ლიტერატურის ნიმუშებს. მან ფრანგულიდან თარგმნა ანრი ბარბიუსის „მართალი მოთხრობები", „აი, რა უყვეს საქართველოს", „ბრალს ვდებ", „მოუდრეკელნი", ჟუსტან ფლობერის „მადამ ბოვარი", „სანტიმენტალური აღზრდა", „წერილები", ლუი არაგონის ისტორიული რომანი „ვნებიანი კვირა", ამ სტრიქონების ავტორთან ერთად მორის ტორეზის „ხალხის შვილი" და სხვ. გარდა ამისა, არისტო ჭუმბაძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ ენაზე რუსული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში. მან ლიტერატურად თარგმნა ანა ანტონოვ-კაიას „დიდი მოურავი" (მთლიანად), მიხეილ შოლოხოვის „გატეხილი ყამირი", ლ. ტოლსტოის „ომი და მშვიდობა" (ნაწილი), სალტიკოვ-შჩედრინის, მ. გორკის, ლ. ლეონოვის და სხვათა ნაწარმოებები.

მნიშვნელოვანია ა. ჭუმბაძის ნაშრომი ფლობერის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. არისტო ჯერ კიდევ სორბონის უნივერსიტეტში სწავლობდა, როცა ეს ნაშრომი წაიკითხა პროფესორმა ემილ ფაგემ და დიდი შეფასება მისცა. ავტორი გვაცნობს ფლობერის შემოქმედებითი გზის ეტაპებს, იკვლევს ფრანგი მწერლის შემოქმედების თავისებურებებს, განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ფლობერის ენის და სტილისათვის.

ექვსი ათეული წლის მანძილზე ა. ჭუმბაძე უანგაროდ ემსახურებოდა მშობლიურ ლიტერატურას, რომელიც გაამდიდრა მისმა ორიგინალურმა ნაწერებმა და თარგმანებმა.

ვფიქრობთ, მისასალმებელი იქნება, თუ ღვაწლმოსილი მწერლის დაბადების მე-100 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცემა არისტო ჭუმბაძის რჩეული (ორიგინალური ნაწერები და თარგმანები) და აგრეთვე ლ. არაგონის „ვნებიანი კვირა" (თარგმანი), რომელიც დღემდე არ დასტამბულა.

სერგო თურნავა.

გვიწვევს ბულგარეთი

ტურიზმისა და მეგობრობის ქვეყანა

თბილისში კინოთეატრ „რუსთაველში" გაიხსნა ფოტოგამოფენა „ბულგარეთი ტურიზმს ქვეყანაა". იგი მოაწყო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარმა სამმართველომ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის განყოფილებამ.

ჩვენ შეგხვდით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის გენერალურ წარმომადგენელს საბა-ეოვს და ვთხოვეთ გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებისათვის მოეთხრო ბულგარეთში უცხოეთი ტურიზმის განითარების ძირითადი მიმართულების შესახებ:

— უცხოური ტურიზმი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ახალგაზრდა დარგია, — თქვა მან. — ტურიზმის პირველი სახელმწიფო სამეურნეო დაწესებულება 1948 წელს შეიქმნა. ამჟამად ბულგარეთის ტურიზმის ეროვნული კომიტეტი ორმოცზე მეტ ქვეყანასთან ამყარებს ურთიერთობას. ჩვენ ბევრ ქვეყანაში ვაფუძნებთ ჩვენ წარმომადგენლობებს. ამ საქმეში ჩვენ ბევრ ქვეყანასთან ერთად ვმონაწილეობთ. ბულგარეთში ბევრი ადგილია, სადაც ადამიანებს ისვენებენ, ბევრ ადგილზე ავაშენებთ ახალ სასტუმროებს, ბევრ ადგილზე ვაფართოებთ ძველ სასტუმროებს. ბევრ ადგილზე ვაკეთებთ ბანაკებს, ბევრ ადგილზე ვაფართოებთ ბანაკებს. ბევრ ადგილზე ვაკეთებთ ბანაკებს.